რუსული ისტორიული მეცნიერების ზოგადი განვითარება XIX საუკუნის II ნახევარი - XX საუკუნის დასაწყისი

სახელმწიფო სკოლის ისტორიკოსების შემოქმედება არის იმის ილუსტრაცია როგორ გადადიოდა ისტორიული დოქტრინები ჰეგელიანობიდან პოზიტივისტურ კონცეფციებზე. თავიდან ჰეგელის შეხედულებები იყო ფუნდამენტი სახელმწიფო-იურიდიული მიდგომის მიმდევართათვის. წარსულის შესასწავლად მეცნიერებაში მტკიცედ დამკვიდრდა კანონზომიერების და ისტორიული პროცესის შიდა განპირობებულობის ცნება, ჩვეულებრივი გახდა ფარული ანტითეზების ძიება როგორც ისტორიის მამოძრავებელი ძალისა (ბრძოლა ტყის და სტეპის, გვაროვნული ყოფის და სახელმწიფო წყობის. აღმოსავლეთ -დასავლეთის და ა.შ), გამოკვლევებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა სამართლის და სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარებას, მაგრამ სახელმწიფო სკოლა ვერ თავსდებოდა ჰეგელისეულ ჩარჩოებში, მისი განვითარება მოითხოვდა ახალ მეთოდოლოგიურ მიდგომებს, ისტორიის ახლებურ ფილოსოფიურ გააზრებას.

ასეთი ახალი მიდგომა, ახალი ისტორიული დოქტრინა გახდა პოზიტივიზმი, მისი შემქმნელები იყვნენ საფრანგეთში ოგიუსტ კონტი (1798-1857) და ინგლისში ჯონ სტიუარდ მილი (1806-1873), მაგრამ განსაკუთრებით ფართოდ პოზიტივიზმი გავრცელდა XIX სკ II ნახ. ინგლისელი ჰერბერტ სპენსერის (1820-1903) და ფრანგი იპოლიტ ტენის (1828-1893) შრომების წყალობით. პოზიტივიზმი აცხადებდა ჭეშმარიტ ნამდვილ ცოდნის ერთადერთ წყაროდ ემპირიზმს, ამას ხსნიდა იმით, რომ არსებობს მხოლოდ ცდისეული შემეცნება, რომელიც ეფუძნება იმას რაც ჩვენ უშუალოდ გვეძლევა. ისტორიული მეცნიერებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემდეგი დადგენილებები შემუშავებული ფილოსოფის პოზიტივისტების მიერ:

- კაცობრიობის აზროვნების განვითარებაში სამი სტადიის გამოყოფა: 1) თეოლოგიური, როცა ხალხი ყველაფრის ასახსნელად იყენებს ღმერთს. თვითონ ეს სტადია გადის სამ ეტაპს ფეტიშიზმი, პოლითეიზმი და მონოთეიზი. 2) მეტაფიზიკური როცა ღმერთის ადგილს იკავებს აბსტრაქტული არსი (რაობა) 3) პოზიტიური როცა ცოდნის ერთადერთი ფორმა არის სამეცნიერო ცოდნა და ყველაფრის ახსნა მიიღწევა ცდის გზით.
- ისტორიული პროცესის ცვლადი მრავალფეროვნების აღიარება, როგორც იმავდროული შეხამება იმ ფაქტორთა სიმრავლის, რომელიც მოქმედებს კაცობრიობის განვითარებაზე – ეკონომიკური, პოლიტიკური, რელიგიური, კულტურული, ბუნებრივი და ა.შ.
- ევოლუციონიზმი, როგორც პროგრესის გზაზე საზოგადოების განვითარების მთავარი პრინციპი, მოძრაობაში მარტივიდან რთულისკენ, ერთგვაროვნიდან არაერთგვაროვნამდე.
- ისტორიული პროცესის კანონზომიერების გამოვლენა ფაქტების რეკონსტრუქციის გზით.
- პრაგმატიზმი სამეცნიერო ცოდნის მიღებაში, ცოდნა უნდა იყოს სასარგებლო, ზუსტი, უტყუარი. ეს კარგად ეხმაურებოდა ინდუსტრიული ეპოქის ფასეულობებს,

რომელიც ხასიათდებოდა ტექნოკრატიზმით და ცალკეული პიროვნებების ინტერესთა უგულებელყოფით

ისტორიის პოზიტივისტურმა მიდგომამ გავრცელება რუსეთში დაიწყო XIX შუაწლებში. ათასწლეულის ბოლოს ეს ფილოსოფიური დოქტრინა კრიზისს მიუახლოვდა რაც დაკავშირებული იყო სოციალ-პოლიტიკური პრობლემების გლობალურ გამწვავებასთან. და რამაც გააძლიერა ეჭვები ყველა ადრინდელი ფასეულობის ან რწმენის მიმართ. სამეცნიერო საზოგადოება იმედგაცრუებას განიცდიდა პროგრესის შესახებ პოზიტივისტური სწავლების მიმართ. ამ პერიოდში აღორძინდა რელატივისტური ტენდენციები, რომელიც გამოიხატებოდა ნებისმიერი შემეცნების შინაარსის (შემადგენლობის) შედარებითობის და პირობითობის აღიარებაში. ისტორიულ მეცნიერებაში ყალიბდება რაღაც საზღვრების ცნება, რომელსაც მან მიაღწია თავის განვითარებაში- ცოდნის გაფართოების ძველმა ექსტენსიურმა გზამ, მიმოქცევაში მუდმივად ახალი წყაროების შემოღების წყალობით თავისი თავი ამოწურა, საჭირო იყო ახალი ხერხები, იდეები, მეთოდები სამეცნიერო კვლევისა.

აქედან გამომდინარეობდა ის ინტერესი მეთოდოლოგიური ხასიათის შრომებისადმი, რომელიც შესამჩნევია კრიტიკული პოზიტივისტების შემოქმედებაში XIX - XX დასაწყისში (პ. მილიუკოვი, ნ. როჟკოვი, ე. ტარლე და ა.შ.). მათი სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის წყალობით ისტორიის მეთოდოლოგია ყალიბდება ცალკე დისციპლინად. პოზიტივისტური მიდგომის მიმდევრები სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობდნენ ცალკეული კულტურების და ხალხების შედარებას ვიდრე პროგრესის გზაზე კაცობრიობის მოძრაობის ზოგად იდეას, სოციალ-ეკონომიკური ფაქტორები იძენენ ისტორიული პროცესის პირველმიზეზის ხასიათს და ა.შ.

XIX სკ. ბოლო და XX სკ დასაწყისი საერთოდ გამორჩევა არამდგრადობით და იმ დროს არსებული მთელი რიგი ისტორიულ ფილოსოფიური მიდგომების ურთიერთშერევით. პოზიტივისტურ მეთოდოლოგიასთან ვითარდება ნეოკანტიანელობა და ისტორიული მატერიალიზმი.

ისტორიული ნეოკანტელიანობის დამფუძნებლები არიან ბადენური სკოლის მეცნიერები ვილჰელმ ვინდელბანდი (1848-1915) ჰენრიხ რიკერტი (1863-1936), რომლებიც ყოფდნენ მეცნიერებას ნომოთეტიკურად- რომელსაც კანონებთან ჰქონდა საქმე (აქ აზროვნება ცდილობს გადავიდეს კერძოს დადგენიდან საერთო კავშირის გაგებამდე რაც დამახასიათებელია ბუნებისმეტყველებისთვის) და იდეოგრაფიულად- რომელიც სწავლობს ცალკეულ მოვლენებს მათ განუმეორებლობაში (აზროვნება ჩერდება კერძოს გამოვლენაში ეს დამახასიათებელია ისტორიის და კულტურის მეცნერებებისთვის) შესაბამისად ნეოკანტიანელები ამტკიცებდნენ, რომ კაცობრიობის განვითარებისთვის დამახასიათებელია საკუთარი კანონები, განსხვავებული ბუნების კანონებისგან, არ შეიძლება გავაიგივოთ ორგანული სამყარო და ადამიანთა სამყარო. ამ იდეების მიმდევარი რუსეთში იყო ა. ლაპო-დანილევსკი.

ისტორიაში ნეოკანტიანელური მიდგომა ყურადღებას ამახვილებს არა ისტორიული პროცესების კანონთა გამოვლენაზე, არამედ ისტორიის აღქმაზე როგორც უნიკალური და განუმეორებელი მომენტების მთლიანობა. პირველხარისხოვანი ისტორიკოსისთვის ნეოკანტიანელთა თვალსაზრისით არის არა ისტორიული პროცესის მამოძრავებელი

ძალის გამოვლენა, არამედ იმის თუ ისტორიული სინამდვილე როგორ აღიქმებოდა თვითონ შემეცნების სუბიექტების მიერ მათ რელიგიურ, ეთიკურ ესთეტიკურ ფასეულობათა პრიზმაში. რიკერტის აზრით ,,ისტორიული გამოკვლევის მთავრი ობიექტი არის ...ადამიანი, როგორც სოციალური არსება რამდენადაც ის მონაწილეობს სოციალური ფასეულობების რეალიზებაში''.

მარქისზმის იდეოლოგებმა კარლ მარქსმა (1818-1883), ფრიდრიხ ენგელსმა (1820-1895), ვლადიმირ ლენინმა (1870-1924) შეიმუშავეს საზოგადოებრივი განვითარების საკუთარი თეორია –ისტორიული მატერიალიზმი. ისტორიული მატერიალიზმი საზოგადოებას განიხილავდა როგორც სისტემას განპირობებულს საწარმოო ძალების განვითარების დონით. როგორც კავშირი ბაზისის და ზედნაშენის. ბაზისის ქვეშ მოიაზრებოდა მატერიალური წარმოება, რომელიც შედგებოდა საწარმოო ძალების (მშრომელი მასა, წარმოების საშუალებები, რომელთაც ისინი იყენებდნენ) და საწარმოო ურთიერთობებისგან (საზოგადოებრივი ურთიერთობები გაჩენილი წარმოებასთან დაკავშირებით).

მარქსისტული თვალსაზრისით ბაზისი არის საფუძველი და პირველმიზეზი ყველა პროცესის რაც საზოგადოებაში ხდება. ზედნაშენი წარმოადგენდა მთლიანობას პოლიტიკური, სამართლებრივი, რელიგიური, საზოგადოებრივი ფაქტორების, ასევე ზნეობრივ, ესთეტიკურ, ფილოსოფიურ შეხედულებებს. ბაზისთან ურთიერთობაში ზედნაშენი არის მეორეული, მასზე დამოკიდებული, მაგრამ ფლობს შედარებით დამოუკიდებლობას და შეუძლია თავის განვითარებში შეესაბამოს ბაზისს, გაუსწროს მას ან ჩამორჩეს, ასტიმულირებს ან ამუხრუჭებს რა ამით საზოგადოებრივ განვითარებას. ეს აზრი მარქსმა მოკლედ გამოხატა შემდეგი ფორმულით ,,არა ადამიანთა ცნობიერება განსაზღვრავს მათ ყოფიერებას, არამედ პირიქით საზოგადოებრივი ყოფა განსაზღვრავს ცნობიერებას''.

კაცობრიობა თავის განვითარებაში გადის რიგ ურთიერთ მონაცვლე წარმოების საშუალებებს და ფორმაციების. ფორმაცია თავის თავში მოიცავს წინააღმდეგობებს ანტაგონისტური კლასობრივი ურთიერთობების სახით, რამდენადაც წარმოების საშუალებებთან მიმართებაში საზოგადოების წევრები დაყოფილია კლასებად ექსპლუატატორთა და ექსპლუატირებულთა: მონათფლობელი და მონა, ფეოდალი და გლეხი, ბურჟუაზია და პროლეტარიატი. კლასობრივი ბრძოლის დროს ყველაზე ძლიერი კლასი ქმნის სახელმწიფოს ასევე იდეოლოგიის სხვადასხვა ფორმებს (მათ შორის რელიგია, სამართალი, ხელოვნება) რათა იბატონოს სხვა კლასზე. ფორმაციის ცვლა განისაზღვრება საწარმოო ძალთა განვითარების დონით რომელიც თანდათან გადაიზრდება საწარმოო ურთიერთობებში, შედიან კონფლიქტში მასთან რაც იწვევს რევოლუციას (სოციალური და პოლიტიკური).

ისტორიის მატერიალისტური გაგება პირველ პლანზე წევს სოც-ეკონომიკური პროცესების და კლასობრივი ბრძოლის კვლევას. ბევრი ისტორიკოსი XIX სკ ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში განიცდიდა მარქსიზმის გავლენას (შეიძლება მოვიყვანოთ მაგალითად პოზიტივისტი მილიუკოვი და ნეოკანტიანელი ლაპო-დანილევსკი), მაგრამ ყველაზე მეტად გავრცელება ამ იდეებმა ჰპოვა გ. პლეხანოვის მ. პოკროვსკის და ნ. როჟკოვის შემოქმედებაში.

„ისტორიული მეცნიერების კრიზისის პრობლემა XIX ბოლოს და XX დასაწყისში"

საბჭოთა ისტორიოგრაფიაში გავრცელებული თეზისით ისტორიული მეცნიერება XIX - XX საუკუნეების მიჯნაზე განიცდიდა მეთოდოლოგიურ კრიზისს, ამ მტკიცებას ცუდად ეთანხმება სხვადასხვა მიმართულების და თემატიკის უამრავი საინტერესო ისტორიული ნაშრომების არსებობა. თუმცა ამაზე ს. პლატონოვი და შემდეგ კ. აქსაკოვი ამბობდნენ, რომ ახლა ჩვენ არ გვაქვს ისტორია, მხოლოდ ისტორიული გამოკვლევები მეტი არაფერი".

როგორც ჩანს აქ საქმე არის არა გამოცემული ლიტერატურის რაოდენობაში და თუნდაც ხარისხში, კრიზისის არსს კარგად გადმოსცემს თამანედროვე რუსი მკველვარის ბ. მოგილნიცკის სიტყვები: ,,კრიზისი ეს არის მდგომარეობა, როცა ძველი პარადიგმა უკვე დარღვეულია ან ირღვევა, ხოლო ახალი ჯერ არ შექმნილა და ისტორიკოსთა საზოგადოებაში ჩნდება იმის გაცნობიერება რომ რაღაც ისე არ არის". ანვითარებდა რა ამ მდგომარეობას ვ. კორზუნი აღნიშნავს, რომ ,,კრიზისი მეცნიერებაში ესაა მოვლენა არა მხოლოდ კანონზომიერი არამედ ნაყოფიერი, რომელიც აღინიშნება არნახული ინტელექტუალური დაძაბვით". ისტორიული ნაშრომები იწერებოდა, საკვლევი თემა სულ უფრო მრავალფეროვანი ხდებოდა, თვითონ ისტორიკოსები ხდებოდნენ დეტალური სპეციალისტები, სწავლობდნენ რა წარსულის მოვლენებს, მაგრამ ამ სპეციალიზაციის და კონკტერიზაციის უკან ქრებოდა მთავრი- ისტორიის არსის გაგება.

რა თქმა უნდა როცა საუბარია მეცნიერების მდგომარეობაზე XIX სკ ბოლოს XX საუკუნის დასაწყისში უნდა გავითვალისწინოთ როგორი იყო საერთო მდგომარეობა, ის სიჩქარე რომლითაც იცვლებოდა საზოგადოების პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული მდგომარეობა, იმ მასშტაბის ძვრები რომელსაც ,,განიცდიდა" ერთმანეთის მიყოლებით კაცობრიობა აღნიშნულ დროს.

საკითხი იმის შესახებ რას სწავლობს ისტორიული მეცნიერებები ან რა არის მისი კვლევის ობიექტი და საგანი უსასრულო დისკუსიებს იწვევდა განათლებულ წრეებში, ასევე გადახლართული იყო დავებთან იმის შესახებ, როგორ სწავლობს ის მას, როგორია ისტორიული ცოდნის მიღების ინსტრუმენტალია, რამდენადაა ეს ცოდნა უტყუარი და ობიექტური? და ბოლოს ეს ყველაფერი მიდიოდა მთავარ კითხვამდე – რისთვის სწავლობს ის მას? არსებობს თუ არა ისტორიული განვითარების კანონები და რამდენადაა ის უცვლელი რა ფასეულობას ატარებს ისტორიული ცოდნა და შეიძლება თუ არა ისტორიას საერთოდ დაერქვას მეცნიერება- ფიქრები ამ პრობლემებზე მოიცავდა ძალიან ფართო წრეს, სტუდენტებიდან პროფესორებამდე, უბრალო მოქალაქიდან ჩინოვნიკამდე. ეს კრიზისი არ იყო მხოლოდ ისტორიული ცოდნის შინაგანი პრობლემიდან გაჩენილი, ის ასახავდა სოციუმის კონფიქტურ მდგომარეობას. დავები იმის შესახებ რა არის ისტორია და რისთვის არის ის საჭირო, ხშირად არის საზოგადოებრივი დისბალანსის მარკერი.

ისტორიოგრაფიის პრობლემის თანამედროვე მკვლევრები (ბიკოვი, რიჟენკო, კორზუნი, ბიჩკოვი) საუბრობენ რა რუსეთის ისტორიული მეცნიერების განვითარებაზე XX სკ დასაწყისში მიდიან ერთობლივ დასკვნამდე: ,,ისტორიულ- სამეცნიერო საზოგადოება არ აძლევდა რაიმე აშაკრა უპირატესობას ერთ ცალკეულ თეორიულ დოქტრინას, ისევე როგორც არ ცდილობდა ერთიანი სინთეზური და ყველასთვის დამაკმაყოფილებელი

მეთოდოლოგიის შემუშავებას. /სამამულო/ ისტორიკოსები სახელმწიფოს ზეწოლის ძალით აიძულეს ეღიარებინათ მარქსიზმი როგორც თეორიულ მეთოდოლოგიური აზრის მწვერვალი 1920- იანი 1930 იანი დასაწყისში".

,,სამეცნიერო ორგანიზაციები, წყაროების პუბლიკაცია, დამხმარე ისტორიული დისციპლინების განვითარება".

უმაღლესი ისტორიული განათლების განვითარების წყალობით XIX ბოლოს რუსეთში ჩამოყალიბდა პროფესიონალი ისტორიკოსების სამეცნიერო გაერთინება –ცენტრალურ უნივერსიტეტებში მუშაობა დაახლოებით 800 მეცნიერი ამათგან 2/3-ს შეადგენდა რუსეთის ისტორიის სპეციალისტები.

პარადიგმების ცვლას ისტორიულ მეცნიერებაში არ ჰქონია პირდაპირი ასახვა სამეცნიერო ცოდნის მატერიალურ საფუძვლებზე, გროვდებოდა ახალი წყაროები, სამეცნიერო მიმოქცევაში შემოდიოდა მათი ახალი ტიპები. წყაროთმცოდნებითი ბაზის მუდმივი გაფართოება განაპირობებდა მეცნიერთა გადასცვლას ძირითადად მონოგრაფიული გამოკვლევების ტიპზე, (სხვადასხვა პრობლემებზე ეკონომიკის და საზოგადოებრივი აზრის ისტორია, წოდებათა ისტორია და პოლიტიკური პარტიების, სახელმწიფო დაწესებულებების ისტორია და სხვა).

ნაყოფიერ მუშაობას განაგრძობდა ჯერ კიდევ XVIII სკ და XIX I ნახევარში გაჩენილი სამეცნიერო საზოგადოებები და ორგანიზაციები, გაჩნდა მათი განშტოებები და ახალი სამეცნიერო დაწესებულებები მაგალითად პეტერბურგის საიმპერატორო არქეოგრაფიული კომისიის გვერდით რომელიც დაფუძნდა 1834 წ. XIX შუაწლებში გააჩნდა კიევის, ვილენსკის და კავკასიის არქეოგრაფიული კომისიები, 1896 წელს შეიქმნა არქეოგრაფიული კომისია მოსკოვის არქეოგრაფიულ საზოგადოებასთან, ამ ორგანიზაციის საქმიანობა მიმართული იყო ისტორიული წყაროების პროვინციებში გამოვლენა-გამოქვეყნებისკენნ. ცენტრალური არქეოგრაფიული კომისიის წარმოებაში გადავიდა რუსული მატიანეების სრული კრებულის გამოქვეყნება (Полное собрание русских летописей) რომელიც 1924 წ. გრძელდებოდა.

ლოგიკური ნაბიჯი ისტორიული მასალის შენახვის, შეკრების და გამოქვეყნების საქმის განვითარებაში გახდა გუბერნიების საარქივო კომისიების შექმნა, ისინი განაპირობებდნენ რეგიონის ისტორიის მიმართ ინტერესიის ზრდას, ახდენდნენ პროვინციული არქივების საქმიანობის კოორდინირებას, ხელს უწყობდნენ ისტორიული მხარეთმცოდნეობითი მუზეუმების გაჩენას, აწარმოებდნენ დიდ საგანმანათლებლო საქმიანობას მოსახლეობას შორის.

ისტორიული წყაროების გამოქვეყნებას ხელს უწყობდა რუსული საისტორიო საზოგადოება, შექმნილი 1866 წელს. მან 50 წლიანი არსებობის განმავლობაში (1917) გამოსცა 148 ტომი ,,რუსული საისტორიო საზოგადოების კრებულები" სადაც ქვეყნდებოდა იშვიათი ან ადრე უცნობი ისტორიული დოკუმენტები.

1863 -1917 წწ. პეტრე ივანეს ძე ბარტენევი გამოსცემდა ჟურნალს ,,რუსული არქივი" რომელიც ძირითადად შეიცავდა გამოუქვეყნებელი მემუარებს ეპისტოლარულ. ლიტერატურულ- მხატვრულ და უწყებრივი დოკუმენტების მასალებს. 1878 წელს ისტორიკოს მიხეილ ივანეს ძე სემევსკის ინიციატივით გამოდიოდა ყოველთვიური

ჟურნალი ,,რუსული სიძველეები” (,,Русская старина”) (გამოდიოდა 1918 წლამდე), ამ დროს გამოდიოდა ისეთი ისტორიული ჟურნალები როგორიცაა ,,Древняя и новая Россия” ,, Исторический вестник” ,,Голос минувшего” ,,Старые годы” ,,Билое” და სხვები.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ახალ დონეზე ადის ისტორიული ცოდნის ისეთი დარგი როგორიცაა წყაროთმცოდნეობა. მთავარი მიღწევები ამ სფეროში დაკავშირებული იყო ალექსეი ალექსანდრეს ძე შახმატოვის (1864-1920) შემოქმედებასთან. მისი ინტერესების სფეროში იყო პირველ ყოვლისა მატიანეების შესწავლა. წყაროთმცოდნეობითი კვლევა გამოდის თვითონ წყაროს ჩარჩოდან, ხდება ფართო, იქცევა ეპოქის კვლევად, რომელშიც წყარო იქმნებოდა.

XIX ბოლოს და XX დასაწყისში არქეოლოგიურმა მეცნიერებამ მნიშვნელოვნად გააფართოვა ჩასატარებელი კვლევა-ძიების გეოგრაფია, სამხრეთის ყორღანების გვერდით სწავლობდა ქვეყნის ცენტრალური ოლქების ტერიტორიას. მატერიალური კულტურის ძეგლების შეკრება, შენახვა და კვლევა განაპირობებდა სამუზეუმო საქმის განვითარებას. უდიდესი მოვლენა ამ დარგში იყო 1883 წ. ისტორიული მუზეუმის გახსნა მოსკოვში.

ფართო გავრცელებას პოულობს ეთნოგრაფია, საქმის აყვავება დაკავშირებულია რუსი ეთნოგრაფების ივანე გრიგორის ძე ზაბელინის (1820-1908) და დიმიტრი კონსტანტინეს ძე ზელენინის (1878-1954) შემოქმედებასთან. პირველს ჩაფიქრებული ჰქონდა შეექმნა დიდი ნაშრომი რუსი ხალხის საოჯახო ყოფის შესახებ XVI-XVII სს, მაგრამ ამ ჩანაფიქრიდან ხორცშესხმა ჰპოვა მხოლოდ ორმა ტომმა ,,რუსი მეფეების საოჯახო ყოფა XVI-XVII” და ,,საოჯახო ყოფა რუსი დედოფლების XVI-XVII”. მეორემ მიმართა თავისი შემოქმედება აღმოსავლეთ სლავური ეთნოგრაფიის შესწავლისკენ. ხალხის ცხოვრების ისტორიის შექმნის ინტერესი გამოიხატა ამ დროს ფოლკლორული ძეგლების ბილინების, რუსული სახალხო სიმღერების, ზღაპრების შეკრებაში.

ისტორიული გეოგრაფიის დარგში აუცილებელია აღინიშნოს ნიკოლოზ პავლეს ძე ბარსოვის (1839-1889) ,,მასალები ძველი რუსეთის ისტორიული გეოგრაფიის ლექსიკონისთვის” (1865) და ,,რუსული ისტორიული გეოგრაფის ნარკვევები, გეოგრაფია ნესტორის მატიანისა” (1885) ეკონომიკური ისტორიის მსხვილი სპეციალისტი იყო ნიკოლოზ იაკობის ძე პრისტოვი (1834-1882) და ალექსანდრე ივანეს ძე ნიკიტსკი (1842-1886) და ა.შ.